ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: შუა საუკუნეების კვლევები

# კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის/სკოლის დასახელება | მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი |
| პროგრამის დასახელება | შუა საუკუნეების კვლევები |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი შუა საუკუნეების კვლევებში<br>MA in Medieval Studies |
| პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 4 სემესტრი, 120 კრედიტი. |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის ხელმძღვანელები | ბეჟან ჯავახია, პროფესორი<br>მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი<br>ნინო დობორჯგინიძე, პროფესორი<br>ნინო ჭიჭინაძე, პროფესორი |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლებულია 2022 წელს. პროგრამა განახლებას ექვემდებარება ყოველი სასაწავლო წლის/სემესტრის დასაწყისში, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. |

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
სამაგისტრო პროგრამაზე მიღებისთვის კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და აგრეთვე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. დეტალური ინფორმაცია შიდასუნივერსიტეტო გამოცდის პირობების, მოთხოვნების, შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.iliauni.edu.ge.

## პროგრამის მიზნები

შუა საუკუნეების კვლევების ინტერდისციპლინური პროგრამა მიზნად ისახავს მედიევისტიკაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ სისტემური ცოდნა შუა საუკუნეების ისტორიული, სახელოვნებო, ფილოსოფიური, თეოლოგიური, ლიტერატურული თუ ენობრივი კონტექსტის/კონტექსტების შესახებ საქართველოსა და ბიზანტიაში ან დასავლეთ ევროპაში (ინტერესის მიხედვით).

სტუდენტები სამაგისტრო პროგრამის განმავლობაში სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის გამოყენებით შეძლებენ შეისწავლონ შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიო, რეგიონულ ან ნაციონალურ კონტექსტში. პროგრამაზე სწავლის განმავლობაში სტუდენტებს შეეძლებათ განივითარონ კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარები.

## სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს სისტემურ ცოდნას მედიევისტიკის სფეროში თანამედროვე ტენდენციების, კვლევების, თეორიული მიდგომების შესახებ; შეუძლია მათი კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
2. ავლენს ქართული და ბიზანტიური ან დასავლეთ ევროპული შუა საუკუნეების შერჩეული კონტექსტის/კონტექსტების (ისტორია, ფილოსოფია-თეოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნების ისტორია, ენა) შესახებ სისტემურ ცოდნას; კონტექსტის/კონტექსტების გათვალისწინებით, შეუძლია მნიშვნელოვანი საკითხების, მოვლენების ან/და პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზი და შეფასება;
3. ავლენს ძველი ქართული ენისა და კიდევ ერთ-ერთი ძველი ენის (ძველი ბერძნული /ლათინული/ძველი სომხური) ცოდნას;
4. შეუძლია პირველწყაროების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
5. შეუძლია კვლევისთვის საჭირო პირველწყაროებისა და სხვა რელევანტური მონაცემების/ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, სისტემატიზაცია, დამუშავება და ინტერპრეტაცია;
6. შეუძლია თანამედროვე მედიევისტიკის სფეროში საკითხის, პრობლემატიკის ან მოვლენის კომპლექსური შესწავლისთვის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება რელევანტური მეთოდებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით;
7. შეუძლია კომპეტენტურად და დამაჯერებლად საკუთარი მოსაზრებების, არგუმენტებისა და დასკვნების/კვლევის შედეგების კომუნიკაცია, წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც აკადემიური, ისე ფართო საზოგადოების წინაშე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებით;
8. შეუძლია იმოქმედოს ავტონომიურად სწავლისა და კვლევის პროცესში და გამოავლინოს საკუთარი მეცნიერული ხედვა და დამოკიდებულება.

## პროგრამის სტრუქტურა

შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს 120 კრედიტს. სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:

- **პროგრამის სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი**

პროგრამის სავალდებულო კურსები შედგება საერთო სავალდებულო და ძველი ენების კურსებისგან. სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ერთ-ერთი ძველი ენის ორივე დონე - 12 კრედიტი და საერთო სავალდებულო კურსებიდან სამი საგანი - 18 კრედიტი.

- **პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ 42 კრედიტი**

პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები გადანაწილებულია 3 ბლოკში, კერძოდ: *შუა საუკუნეების კვლევების შესავალი კურსების ბლოკი, დასავლეთის ბლოკი, საქართველო და ქრისტიანული აღმოსავლეთის ბლოკი.* სტუდენტმა შუა საუკუნეების კვლევების შესავალი ბლოკიდან უნდა გაიაროს 18 კრედიტი, ხოლო ერთ-ერთი რეგიონული ბლოკიდან - 24 კრედიტი.

- **თავისუფალი-არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 18 კრედიტი**

სტუდენტს შეუძლია გაიაროს 18 კრედიტის რაოდენობის სასწავლო კურსები როგორც შუა საუკუნეების კვლევების პროგრამიდან, ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სხვა სამაგისტრო პროგრამიდან.

- **სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი**

## სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- პირველწყაროებზე მუშაობის მეთოდი;
- პროექტი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები;
- რეფლექსია;
- სუპერვიზია.

*შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციებში.*

## შეფასების წესი

**შეფასება 100 ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

*შენიშნვა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

## დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს:

- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საინფორმაციო დაწესებულებებში;
- მუზეუმებში;

- არქივებში;
- კულტურის სფეროს სხვადასხვა ორგანიზაციაში;
- შესაბამისი პროფილის სამთავროვო და არასამთავრობო დაწესებულებებში.

პროგრამის დამთავრება საშუალებას აძლევს სტუდენტს სწავლა განაგრძოს დოქტორანტურაში.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი “;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო);
- ელექტრონული ბაზები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტი;
- გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს მსოფლიოს 150-ზე მეტ უნივერსიტეტთან და მობილობის პროგრამის, ერაზმუს მუნდუსის, ფარგლებში საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს განახორციელონ სრულად დაფინანსებული მობილობა ევროპის უნივერსიტეტებში.

## კურსების ჩამონათვალი

| კოდი | კურსის სახელწოდება | პინაპირობა | საკონტაქტო საათები | კრედიტების რაოდენობა | სემესტრი - შემოდ/გაზაფხული | | ლექტორი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი** | | | | | | | |
| **საერთო სავალდებულო კურსები - 18 კრედიტი** | | | | | | | |
| K754 | თანამედროვე მედიევისტიკა (კვლევის მეთოდები, ფორმები და პერსპექტივები) | | 30 | 6 | x | | ჯავახია ბეჟან (პროფესორი) |
| B668 | ძველი ქართული ენა I | | 32 | 6 | x | | დობორჯგინიძე ნინო (პროფესორი) |
| A783 | ძველი ქართული ენა II | | 32 | 6 | | x | დობორჯგინიძე ნინო (პროფესორი) |
| **ერთ-ერთი ძველი ენა - 12 კრედიტი** | | | | | | | |
| A767 | ძველი ბერძნული ენა 1 | | 62 | 6 | x | x | წიკლაური ირინე (მოწვეული ლექტორი) |
| B967 | ძველი ბერძნული ენა 2 | ძველი ბერძნული ენა 1 | 62 | 6 | x | x | წიკლაური ირინე (მოწვეული ლექტორი) |
| A768 | ლათინური ენა 1 | | 62 | 6 | x | x | სუხიშვილი თამარ (ასოცირებული პროფესორი) |
| B970 | ლათინური ენა 2 | ლათინური ენა 1 | 62 | 6 | x | x | სუხიშვილი თამარ (ასოცირებული პროფესორი) |
| B801 | ძველი სომხური ენა 1 | | 32 | 6 | x | x | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |
| B800 | ძველი სომხური ენა 2 | ძველი სომხური ენა 1 | 32 | 6 | x | x | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |
| **სავალდებულო-არჩევითი კურსები - 42 კრედიტი** | | | | | | | |
| **შუა საუკუნეების კვლევების შესავალი ბლოკი - 18 კრედიტი** | | | | | | | |
| A928 | პოლიტიკური თეოლოგია | | 30 | 6 | x | | მაისურაძე გიორგი (პროფესორი) |
| A845 | საკრალური სივრცე და ძალაუფლება კულტურაში | | 30 | 6 | x | | აბაკელია ნინო (პროფესორ-ემერიტუსი) |
| D505 | ქრისტიანული იკონოგრაფია | | 32 | 6 | | x | ჭიჭინაძე ნინო (ასოცირებული პროფესორი) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| A770 | კრიტიკული ტექსტის დამუშავების მეთოდოლოგია და პრაქტიკა | | 30 | 6 | x | | კოჭლამაზაშვილი თამაზ (პროფესორ-ემერიტუსი) |
| D260 | აპოკრიფები "დაფარულნი" და "ნატყუარნი" | | 32 | 6 | | x | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |
| N825 | სემინარი ციფრულ ეპიგრაფიკაში | | 32 | 6 | | x | დობორჯგინიძე ნინო (პროფესორი) |
| P067 | კოდიკოლოგია | | 30 | 6 | x | | კოჭლამაზაშვილი თამაზ (პროფესორ-ემერიტუსი) |
| P108 | სემინარი წყაროთმცოდნეობაში I (ინტერდისციპლინური) | | 32 | 6 | x | | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |
| P703 | სემინარი წყაროთმცოდნეობაში II (ინტერდისციპლინური) | სემინარი წყაროთმცოდნეობაში I (ინტერდისციპლინური) | 32 | 6 | | x | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |
| O563 | რიტუალი, რიტუალის ცვლილება და ცვლადი რიტუალები კულტურაში (რიტუალის თეორია და პრაქტიკა) | | 32 | 6 | | x | აბაკელია ნინო (პროფესორ-ემერიტუსი) |
| O300 | იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის საკვანძო, საკრალური ტექსტების კრიტიკული ანალიზი | | 32 | 6 | x | | სონღულაშვილი მალხაზ (ასოცირებული პროფესორი) |
| Q167 | შუა საუკუნეების ხელოვნება - კონცეპტი და პრაქტიკა | | 32 | 6 | x | | ჭიჭინაძე ნინო (ასოცირებული პროფესორი) |
| T638 | შედარებითი ქრისტიანული თეოლოგია აღმოსავლეთსა და დასავლეთში | | 30 | 6 | | x | გრძელიძე თამარ (ასოცირებული პროფესორი) |
| **საქართველო და ქრისტიანული აღმოსავლეთის ბლოკი - 24 კრედიტი** | | | | | | | |
| M783 | შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა | | 30 | 6 | | x | ჭყოიძე ეკა (ასოცირებული პროფესორი) |
| A771 | ქართული დოგმატურ-საღვთისმეტყველო ლიტერატურა | | 30 | 6 | | x | კოჭლამაზაშვილი თამაზ (პროფესორ-ემერიტუსი) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| A927 | ქართული მითოლოგიური გადმოცემები | | 32 | 6 | | x | აბაკელია ნინო (პროფესორ-ემერიტუსი) |
| A784 | დროის აღქმა, მეხსიერების კონსტრუირება და ისტორიული აზროვნება შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში | | 32 | 6 | x | | თორია მალხაზ (ასოცირებული პროფესორი) |
| M784 | იდეოლოგია და დიპლომატია ბიზანტიაში | | 30 | 6 | x | | ჭყოიძე ეკა (ასოცირებული პროფესორი) |
| A782 | ქალისა და ოჯახის როლი ბიზანტიის იმპერიაში | | 30 | 6 | | x | ჭყოიძე ეკა (ასოცირებული პროფესორი) |
| N139 | აღმოსავლურ-ქრისტიანული მისტიკა და ასკეტიკური ლიტერატურა | | 30 | 6 | | x | კოჭლამაზაშვილი თამაზ (პროფესორ-ემერიტუსი) |
| B653 | აღმოსავლურ-ქრისტიანული ტიპოსი და ლიტურგიკული ლიტერატურა | | 30 | 6 | x | | კოჭლამაზაშვილი თამაზ (პროფესორ-ემერიტუსი) |
| O560 | ბიზანტიური სამონასტრო ტრადიცია (განვითარების ძირითადი ეტაპები) | | 32 | 6 | x | | ჭყოიძე ეკა (ასოცირებული პროფესორი) |
| L129 | საქართველოს ისტორია: წერილობითი წყაროს წაკითხვა და მისი ინტერპრეტაცია | | 32 | 6 | x | | ჯოჯუა თემურ (ასოცირებული პროფესორი) |
| M785 | ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი) | | 30 | 6 | | x | ჯავახია ბეჟან (პროფესორი) |
| N491 | შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლების არქეოლოგიური კვლევა | | 30 | 6 | x | | ბახტაძე ნოდარ (ასოცირებული პროფესორი) |
| K733 | საქართველოს ეპიგრაფიკა | | 32 | 6 | | x | ჯოჯუა თემურ (ასოცირებული პროფესორი) |
| Q168 | ქართული შუა საუკუნეები XIX-XX საუკუნეების ლიტერატურაში | | 32 | 6 | x | | ჭყოიძე ეკა (ასოცირებული პროფესორი) |
| R155 | ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა შუა საუკუნეებში (სემინარი) | | 30 | 6 | x | | ყარაულაშვილი ირმა (ასოცირებული პროფესორი) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| R157 | იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები, როგორც საისტორიო წყარო | | 32 | 6 | x | | ჯოჯუა თემურ (ასოცირებული პროფესორი) |
| R510 | სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო | | 32 | 6 | | x | ჯოჯუა თემურ (ასოცირებული პროფესორი) |
| V350 | საქართველო და დასავლური სამყარო ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით | | 30 | 6 | | x | მაია პატარიძე (პროფესორი) |
| T642 | შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება აღმოსავლეთ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების კონტექსტში | | 33 | 6 | x | | გაგოშიზე გიორგი (მოწვეული ლექტორი) |
| **დასავლეთის ბლოკი - 24 კრედიტი** | | | | | | | |
| M275 | ევროპის ჩამოყალიბება: იდენტობა, საზოგადოება და სახელმწიფო (ისტორიული პერსპექტივა-ანტიკურობიდან განმანათლებლობამდე) | | 30 | 6 | | x | ჯავახია ბეჟან (პროფესორი) |
| Q944 | ონტოლოგია და თეოლოგია: ავგუსტინეს და ბოეციუსის ტრინტარული კონცეფციები | | 32 | 6 | | x | ცოფურაშვილი თამარ (პროფესორი) |
| E391 | დანტე ალიგიერის სამყარო | | 32 | 6 | x | x | ლადარია ნოდარ (პროფესორი) |
| K750 | კათოლიკური ეკლესია და პაპობა შუა საუკუნეებში | | 32 | 6 | x | | ჯავახიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი) |
| K751 | განათლება და ინტელექტუალები შუა საუკუნეებში | | 30 | 6 | x | | ჯავახიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი) |
| K953 | „სხვები“ შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში | | 30 | 6 | x | | ჯავახიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი) |
| A776 | ქრისტიანული ეკლესია და ევროპის დაბადება | | 32 | 6 | | x | ლადარია ნოდარ (პროფესორი) |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| M786 | ყოველდღიურობის ისტორია შუა საუკუნეებში | | 32 | 6 | | x | ჯავახიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი) |
| K947 | ინტენციონალობის თეორიები შუა საუკუნეების ფილოსოფიაში | | 32 | 6 | x | | ცოფურაშვილი თამარ (პროფესორი) |
| P068 | რობერ დე კლარი და მისი „კონსტანტინოპოლის დაპყრობა“ | | 32 | 6 | | x | ჯავახიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი) |
| R156 | სიმბოლო და სიმბოლოთმეტყველება შუასაუკუნეობრივ ევროპაში | | 30 | 6 | x | | ჯოხაძე გრიგოლ (ასოცირებული პროფესორი) |
| S817 | ახალი აღთქმისეული ბერძნული ენა | ძველი ბერძნული ენა 2 | 32 | 6 | x | | წიკლაური ირინე (მოწვეული ლექტორი) |
| T044 | ლოგიკა და თეოლოგია: არისტოტელეს სემანტიკური თეორია და მისი ინტერპრეტაციები შუა საუკუნეებში | | 30 | 6 | | x | ცოფურაშვილი თამარ (პროფესორი) |
| **არჩევითი კურსები (ამ კურსებს დაეთმობა თავისუფალი-არჩევითი საგნების კრედიტები)** | | | | | | | |
| U051 | შუა საუკუნეების ლათინური ენა 1 | ლათინური ენა 1 | 124 | 6 | | x | თამარ ჭეიშვილი (ასოცირებული პროფესორი) |
| U052 | შუა საუკუნეების ლათინური ენა 2 | შუა საუკუნეების ლათინური ენა 1 | 124 | 6 | x | | თამარ ჭეიშვილი (ასოცირებული პროფესორი) |
| **სამაგისტრო ნაშრომი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა სავალდებულოა)** | | | | | | | |
| P973 | **სამაგისტრო ნაშრომი** | | | 30 | | | |